შპს „ბახვი 1 ჰესი - ჰოლდინგური კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1 ზოგადი ინფორმაცია 4
2 ჯგუფის სამუშაო გარემო 4
4. ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოობის და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ 9
5. ძირითადი საშუალებები 11
6. გაცემული სესხი 12
7. სხვა ფინანსური აქტივები 12
8. წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება 13
9. ფული და ფულის ექვივალენტები 13
11. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები 13
12. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი 14
13. სხვა საოპერაციო ხარჯები 14
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 14

ათას ლარში	**შენიშვნა**	*2022 წლის 31 დეკემბერი*
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5	2,879
არამატერიალური აქტივები		1
სხვა გრძელვადიანი აქტივები		719
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,880**
მიმდინარე აქტივები		
გაცემული სესხი	6	811
სხვა ფინანსური აქტივები	7	162
წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება	8	160
დებიტორული და სხვა დავალიანება		7
მარაგები		14
საგადასახადო ზედმეტობა		-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	624
სულ მიმდინარე აქტივები		**1,778**
სულ აქტივები		**4,658**
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	10	2,890
დაგროვილი დეფიციტი		(3,343)
კაპიტალი		**(453)**
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		**(762)**
სულ კაპიტალი		**(1,215)**
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები		5,041
აკრედიტივი		-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**5,041**
მიმდინარე ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები		-
სავაჭრო და სხვა დავალიანება		55
საგადასახადო ვალდებულებები		15
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**70**
სულ ვალდებულებები		**5,111**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**4,658**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 29 სექტემბერს:

მიხეილ ნიბლაძე
დირექტორი

ათას ლარებში	**შენიშვნები**	**2022**
სხვა შემოსავალი		3
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(869)
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(1,361)
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული (ზარალი)/მოგება წმინდა (გარდა საფინანსო საქმიანობისა)		(231)
ცვეთა და ამორტიზაცია		(38)
საოპერაციო მოგება		**(2,496)**
ფინანსური შემოსავალი		8
ფინანსური ხარჯები		(5)
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული (ზარალი)/მოგება წმინდა		733
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		**(1,760)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-
ზარალი მოცემული წლისთვის		**(1,760)**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 29 სექტემბერს:

_____

მიხეილ ნიბლაძე
დირექტორი

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	არამაკონტროლე ბელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**-**	**-**
კაპიტალის ზრდა	2,890	-	-	**2,890**
ჯგუფზე მისაკუთვნებელი ზარალი მოცემული წლისთვის		(2,580)	-	**(2,580)**
			(762)	**-**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,890**	**(2,580)**	**(762)**	**(453)**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 29 სექტემბერს:

_____

მიხეილ ნიბლაძე
დირექტორი

1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ***შპს "ბახვი 1 ჰესი - ჰოლდინგური კომპანია"***-ისთვის.

შპს ბახვი 1 ჰესი - ჰოლდინგური კომპანია დაფუძნებულია 2022 წლის 8 ივნისს და წამოადგენს კავკასიის განახლებადი ენერგიის ფონდის („ფონდი") შვილობილ კომპანიას. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404640536. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გიორგი ლეონიძის ქუჩა, N 2ა, სართული 3, ფართი N5

	2022 წლის 31 დეკემბერი
201532830D, აქციებით შეზღუდული კერძო კომპანია კავკასუს ქლინ ენერჯი ჰოლდინგზ პტე. ლიმეტედი, სინგაპური.	100%

საინვესტიციო ფონდის საქმიანობა მოიცავს მცირე და საშუალო ზომის ჰიდროელექტრო სადგურების განვითარებას და საწესდებო კაპიტალში ინვესტირებას.

შპს ბახვი 1 ჰესი - ჰოლდინგური კომპანია ერთადერთი ეკონომიკური საქმიანობა გულისხმობს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ში" 56.67% წილის ფლობას და ფულადი სახსრებით დამფუძნებელთა კაპიტალის დაფინანსებას.

	2022 წლის 31 დეკემბერი
კლასის ტიპი: ა	
შპს ბახვი 1 ჰესი - ჰოლდინგური კომპანია	56.67%
სს ინდუსტრიილიგენშაფთენფერვალთუნგ	37.33%
შპს ჰანს ჰოლდინგი	1.99%
ინჟ. ვერნერ პანჰაუზერი	1.99%
კლასის ტიპი: ბ	
გიორგი აბრამიშვილი	44.44%
არჩილ ძნელაძე	44.44%
ანდრო ბრეგვაძე	11.12%

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" დაფუძნდა 2020 წლის 20 იანვარს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404591394. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გიორგი ლეონიძის ქუჩა, N 2ა, სართული 3, ფართი N5 ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, საკუთრება და ოპერირება. ჯგუფის ყველა ოპერაცია სრულდება საქართველოში.

საპრეზენტაციო ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი"), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

2 ჯგუფის სამუშაო გარემო

კომპანა ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული

ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, აგრეთვე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე

2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 ოფიციალურად გამოაცხადა პანდემიად. პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვა და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის პროგნოზირება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე, იგი მიმართავს ყველა გონივრულ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების შესანარჩუნებლად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობაასა და განვითარების ხელშესაწყობად.ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა შესაძლო მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა მენეჯმენტი წინდახედულად ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. მომზადების საფუძველი

შეესაბამისობის განაცხადი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

ჯგუფი ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №ნ-6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე.

კონსოლიდირების საფუძვლები. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2022 წლის 31 დეკემბერისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმო(ებ)ს: შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ – 56.67%

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა შესაბამისად გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ

სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS SME-თვის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებებისათვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა საქართველოს სახელმწიფო ვალუტა, ქართული ლარი („ლარი"). აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

ბალანსის შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში აღნიშნული თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება იმ ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ოპერაციის თარიღისთვის. ამგვარი ოპერაციების განხორციელებიდან და უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაყვანიდან მიღებული მოგების და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი / ლარი	2.7020
ევრო / ლარი	2.8844

ამჟამად ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

დებიტორული დავალიანება. დებიტორული დავალიანება აღიარდება თავდაპირველად გარიგების ფასად. შემდგომ მისი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვები. დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის რეზერვები განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების თანახმად გადასახდელი ყველა თანხის ამოღებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები აღირიცხება დაბალი ღირებულებით და რეალიზაციის სავარაუდო წმინდა ღირებულებით, რომელიც გამოითვლება, როგორც სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული შესრულებული სამუშაოს ყველა სავარაუდო ხარჯი და გაყიდვის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები. ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს შესყიდვის ხარჯსა და მათ მიმდინარე ლოკაციასა და პირობებში მოსაყვანად გაწეულ სხვა ხარჯს.

ყოველ საანგარიშო დღეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება გაუფასურებაზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის სარეალიზაციო ფასს გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი და გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის იმ ლოკაციასა და პირობებში მოყვანასთან, რაც აუცილებელია მისი ოპერირებისთვის ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად.

კომპანია ძირითადი საშუალებების კომპონენტების საბალანსო ღირებულებას ამატებს აღნიშნული კომპონენტის შესაცვლელი ნაწილების ხარჯს, ამგვარი ხარჯის წარმოშობის შემთხვევაში, თუ შეცვლილი ნაწილი სავარაუდოდ მოუტანს დამატებით სამომავლო სარგებელს კომპანიას. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება. ყველა სხვა შეკეთება და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი წარმოიშვება.

ცვეთა. მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა აქტივების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში აქტივების

თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგი სახისაა:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
საოფისე მოწყობილობა, აღჭურვილობა და ფიტინგები	4 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადები და გაუფასურების მეთოდები განიხილება და დაკორექტირდება მიახლოებით, შესაბამისობის შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის აღდგენად ღირებულებაზე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება სავარაუდო აღდგენად ღირებულებას (შენიშვნა 5).

განკარგვისას მოგება და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პუნქტში - 'მოგებას გამოკლებული ძირითადი საშუალებების განკარგვის ზარალი'.

არამაკონტროლებელი წილი. შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი ფასდება მისი პროპორციული წილის საფუძველზე შეძენილი საწარმოს წმინდა იდენტიფიცირებად აქტივებთან დაკავშირებით აღიარებულ თანხებში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას, ფასდება თითოეული საანგარიშო თარიღით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშანი. აქტივის გაუფასურების ნიშნის არსებობის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი) საბალანსო ღირებულება შემოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGUs) სამართლიანი ღირებულების უმაღლესი მაჩვენებელი, გამოკლებული რეალიზაციისა და გამოყენების ხარჯი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც წარმოდგენილია განცალკევებით იდენტიფიცირებული ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არა-ფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, რომლებიც გაუფასურებას განიცდიდნენ, განიხილება გაუფასურების შესაძლო ანაზღაურებაზე, ყოველ საანგარიშო პერიოდში.

კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად საოპერაციო ფასად და შემდგომ განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არა-ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება და ვალდებულების თანხა შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს. თუ ეფექტი მატერიალური ხასიათისაა, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის დისკონტირებით გადასახდელამდე განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და, შესაბამისობის შემთხვევაში, ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების ხარჯის გარეშე, და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი აქტივი წარმოადგენს პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც დამოკიდებულია იმ სამომავლო მოვლენებზე, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ვინაიდან არსებობს გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, მოხდება თუ არა მოგების მატერიალიზება ან მათი ზუსტი ეკონომიკური ღირებულების დადგენა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს აქტივები არ აღირიცხება ბალანსში. ამის ნაცვლად, ისინი აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. პირობითი ვალდებულება ნიშნავს ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაურკვეველი სამომავლო მოვლენის შედეგის მიხედვით. პირობითი

ვალდებულება აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომის ალბათობა და პასუხისმგებლობის ოდენობა შეიძლება გონივრულად შეფასდეს. პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის შენიშვნებში, გარდა ორივე პირობის არ დაკმაყოფილების შემთხვევისა.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავენ კომპანიის პარტნიორები. კომპანიის განცხადებულ კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადებული საწესდებო კაპიტალის გადაჭარბება / (დეფიციტი) ფაქტობრივი შენატანების ღირებულებამდე აღირიცხება, როგორც განაღდებული / (გაუნაღდებელი) კაპიტალი, შესაბამისად. ასევე, კომპანიის პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში ნაღდი ფულის სახით ან ნატურით, რომლებიც გათვალისწინებული იყო კომპანიის კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ბალანსის შედგენის თარიღისთვის, აღიარებულია განაღდებული კაპიტალის სახით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის რეალიზაციისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი განისაზღვრება სარეალიზაციო / დამატებითი ღირებულების გადასახადის, ამონაგების, ფასდათმობების და ფასდაკლების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც: შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც დაკმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით; როგორც აღწერილია ქვემოთ.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს პროდუქტებს ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ან კომპანიას გააჩნია ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარები. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც არ ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის მეიჯარისგან კომპანიაზე გადაცემას, იჯარის მთლიანი გადახდა გატარდება ხარჯის სახით წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის ვადა წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე გააფორმებს ხელშეკრულებას იმასთან დაკავშირებით, რომ იჯარით აიღოს აქტივი ნებისმიერი შემდგომი ვადით, რომლის მანძილზეც მოიჯარეს უფლება ექნება გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში, გარკვევით იქნება მითითებული, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ ოფციით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებულნი გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილ იქნა დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას. იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გადასახადების გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება პუნქტში - 'გადასახადები, გარდა მოგებისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში'.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. აღნიშნული შეფასება ეყრდნობა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები მოგების გარდა სხვა პოზიციებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ") ექვემდებარება ანგარიშსწორებას საგადასახადო ორგანოების მიმართ იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება, ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაუდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ს გადახდას ნეტო-საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

დივიდენდების განაწილება. ჯგუფისს პარტნიორების მიმართ დივიდენდების განაწილების აღიარება ხდება ვალდებულების სახით იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ჯგუფის პარტნიორები დაამტკიცებენ დივიდენდებს.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაწეული გაუფასურების ზარალის რეზერვების გარეშე.

შესწორების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ საჭიროებს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელიც იძლევა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვას.

4. ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოობის და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ დასკვნების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე აკეთებს სხვა დაშვებებს. დაშვებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მოქმედი საწარმო. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე ზრახვები, სამომავლო ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გააანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. კომპანიას აქვს საჭირო რესურსი საქმიანობის გასაგრძელებლად პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი

დაშვებების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის ექსპლუატაცია. აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში რაიმე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის მაჩვენებლების კორექტირება.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვალებადობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიმდინარემშ ენებლობა	მანქანა-დანადგარები	საოფისემოწყობილობა, აღჭურვილობა და ფიტინგები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ხარჯი					
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**-**	**5**	**-**	**5**
შემოსვლა	1,368	-	74	74	1,515
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,368**	**-**	**79**	**74**	**1,520**
შემოსვლა	1,219	17	95	80	1,412
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,587**	**17**	**174**	**154**	**2,932**
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
წლის დარიცხვა	-	-	(8)	(7)	(15)

ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**(8)**	**(7)**	**(15)**
წლის დარიცხვა	-	(1)	(22)	(16)	(38)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(1)**	**(30)**	**(23)**	**(53)**
საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,368**	**-**	**71**	**67**	**1,505**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,587**	**16**	**144**	**132**	**2,879**

6. გაცემული სესხი

ათას ლარში	**2022 წლის 31 დეკემბერი**
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	811
სულ	**811**

2022 წლის დეკემბერში, კომპანიამ გასცა ერთ წლიანი 300 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაკავშირებულ მხარეზე.

7. სხვა ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივები მოიცავს გარანტიის დეპოზიტს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ვალდებულებას. გარანტია გაიცა 2022 წლის 31 მარტს და ძალაშია 2023 წლის 30 ივნისამდე.

8. წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება

ათას ლარში	**2022 წლის 31 დეკემბერი**
წინასწარ გადახდილი თანხები	160
სულ	**160**

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში	**2022 წლის 31 დეკემბერი**
ფული ბანკში	624
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	**624**

10. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,890 ათას ლარს. 2022 წლის განმავლობაში, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-მა თავის თანამშრომლებთან გააფორმა აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება, რის მიხედვითაც შერჩეულ თანამშრომლებს შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე ენიჭებათ აქციები.

11. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ის ხშირად წარმოადგენს ინტერპრეტაციის საგანს, რაც წარმოშობს შესაძლო საგადასახადო რისკებს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულებები ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, რომელიც საქართველოს მთავრობასთან 2020 წლის 21 აგვისტოს გაფორმდა, კომპანიამ აიღო ვალდებულება ხელმოწერიდან 23 თვის განმავლობაში შეექმნა ტექნიკური/ESG საინფორმაციო პაკეტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის წარსადგენად.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი/ეკოლოგიის, სოციალური და მმართველობითი (ESG) ასპექტები მეტად მნიშვნელოვანია კომპანიისთვის და პროექტის შემუშავების მთელი პროცესი ფასდება და ვითარდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების (EIB, IFC) გათვალისწინებით.

სოციალური საკითხები. პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, კომპანია აწარმოებს უწვეტ მოლაპარაკებებს სხვადასხვა დაინტერებულ მხარეებთან სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით.

ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებთან შესაბამისობა. კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია რაიმე საკრედიტო ვალდებულება.

12. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ათას ლარში	**2022**
ხელფასები და ბენეფიტები	869

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	**2022**
პროფესიული მომსახურების ხარჯი	341
სოფლის ინფრასტრუქტურისა და სოციალური აქტივობების ხარჯები	238
წარმომადგენლობითი ხარჯები	204
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგების გადასახადისა	108
შეკეთებისა და სარემონტო ხარჯები	105
საოფისე მარაგები	86
იჯარა	78
კომუნალური ხარჯები	8
სხვა	462
სულ	**1,630**

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წელს კომპანიის აქციონერებმა განათავსეს 831,210 აქცია ნომინალური ღირებულებით 794 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა შენატანმა შეადგინა 6,659 ათასი ლარი.